ავრცელი უნივერსიტეტი

თბილისის ა. ჭავჭავაძის სახელობის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, პროფკომიტეტის და კომკავშირის კომიტეტის ორგანო

№ 29 (1089)
პარასკევი,
15 ოქტომბერი, 1976 წ.
გამოდის 44-ე წელი
ფასი 2 კაპ.

ТБИЛИСИС. УНИВЕРСИТЕТИ — орган парткома, ректората, профкома и Комитета ВЛКСМ Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета

ᲛᲔᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲒᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის საპასუხისმგებლო ეჯაჭი

უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი დგას. მომდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები მის 28 პირველად პარტიულ ორგანიზაციაში.

თითქმის ერთი წელი გვაშორებს უნივერსიტეტის XI-ე პარტიულ კონფერენციას. ახლა, როცა ჩვენი კოლექტივის მიერ ერთი წლის მანძილზე გაწეულ შრომის გონებას ვაქცევთ ვუბრუნდით, ნათლად ჩანს ის მიღწევები და ხარისხები, რომელთა დასანერგადაც ბევრი გავიდა პარტიული კომიტეტის, ძირეული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების, თითოეული უნივერსიტეტელი კომუნისტის შემართებითა და მონდომებით.

განვლილი საანგარიშო პერიოდი მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში აღინიშნა იმითი დიდი, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენით, როგორიც იყო სკკპ XXV ყრილობა.

სწორედ სკკპ XXV ყრილობამ, საქართველოს კპ XXV ყრილობამ და ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებამ — „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სრულად განსაზღვრეს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები მე-10, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედში, ამასთან სრულიად გარკვეული კონკრეტული მოზნები დაისახა უნივერსიტეტს.

პარტიამ მოგვცა წიდა — 1976-80 წლებში ქვეყანას მოეუმზადოთ უფრო მეტი მაღალკვალიფიციური კომუნისტური მსოფლმხედველობით შეიარაღებული სპეციალისტები, ვიდრე წინა ხუთწლედებში, კიდევ უფრო განვავითაროთ სამეცნიერო კვლევა, მეტწილად დაეუკავშიროთ იგი ქვეყნის კულტურული და ეკონომიური განვითარების ინტერესებს.

ბუნებრივია, ისმება კითხვა, როგორ შეუდგა უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია ამ ამოცანების განხორციელებას?

სწორედ ამაზე იძლევიან პასუხს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ამჟამად მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კრებები.

კომუნისტთა გამოსვლებში ჩანს განვლილი მუშაობის ანალიზი, მათ წინადადებებსა და სურვილებში ისახება მომავლის სამოქმედო გეგმები.

უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის ერთ მესამედს სტუდენტი კომუნისტები წარმოადგენენ. სწორედ ისინი დგანან იმ დიდი მისიის ავანგარდში, რომელიც პარტიამ და ხელისუფლებამ ჩვენს ახალგაზრდობას დაუსახა: ისწავლონ ბეჯითად, მეცნიერების ახალი მოთხოვნების შესაბამისად, იყვნენ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის მოწინავეთა რიგებში, ისე ეუფლებოდნენ არჩეულ სპეციალობას, რომ ხვალ თავიანთი განსაკუთრებული სიტყვა თქვან სახალხო მეურნეობის ფრონტებზე. ახლანდელი სტუდენტი ხომ ოცდამეერთე საუკუნის წამყვანი მეცნიერი, თავის საქმეს დაუფლებული სპეციალისტი უნდა იყოს. ამ დევიზით წარმოვიდა თავის საქმიანობას უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია. სტუდენტთა სწავლისა და მომავალ მეცნიერთა აღზრდის დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ის ფაქტიც, რომ ჩვენ ვიმყოფებით ეპოქის ზღვარზე და ეს ეპოქა ეძღვნება თავის ძირითად ამოცანას — აღზრდილთა და აღსაზრდელთა კოლექტივის გვარდიას.

განვლილ პერიოდში უნივერსიტეტის პირველად პარტიულ ორგანიზაციის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა შეუნელებელი ზრუნვა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში უნივერსიტეტის როლისა და ადგილის ზრდისათვის. სწორედ ამ მთავარ ამოცანებს ემსახურებოდა პარტიული კომიტეტის სხდომებს და პირველად პარტიულ ორგანიზაციებში განხილული საკითხების უმრავლესობა, რომელთა განხორციელებას დადებითი შედეგი მოჰყვა: ხარისხი აღწევნილია: სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზაცია, მსოფლიოს ხალხთა კულტურების შესახებ ფაკულტატური კურსის შემოღება.

აქვე უნდა გავიხსენოთ სტუდენტ კომუნისტთა საუნივერსიტეტო შეკრება, ტრადიციის სახე მიიღო „სტუდენტური დღეებმა“, სტუდენტები სულ უფრო და უფრო მასობრივად მონაწილეობენ სასუფო მუშაობაში, მათ წარმატება მოიპოვეს შესამე, შრომით სემესტრში.

უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის ძირითადი საზრუნავი მუდამ იყო და არის იდეალოგიური მუშაობის ახალ სიმაღლეზე აყვანა. აქ მისი საქმიანობა ყრილობათა გადაწყვეტილებების პარალელურად მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების—„მოსკოვის მაშასადამე საბელობის საბეჭდწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებლად მიმდინარე მუშაობის შესახებ“ — შუქზე, მის საპროგრამო დოკუმენტზე წარმოადგენდა ანგრეთე სკკ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ჩვენს რესპუბლიკაში ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას, წარსულის მავნე გადმონაშთებთან შეუნელებელ ბრძოლას.

ამ ნიშნით ჩატარდა მრავალი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა ხაზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წვდომას. ჩატარდა რამდენიმე სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია სწავლების მეთოდებისა და ფორმების გაუმჯობესების საკითხებზე; ბევრი რამ გაკეთდა აქტუალური მეცნიერული პრობლემატიკის დასამუშავებლად, გადაისინჯა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა და პერსპექტიული გეგმები. პრაქტიკაში სულ უფრო და უფრო მკვიდრდება პრობლემების კომპლექსური დამუშავება. ამაღლდა ურთიერთმოხოვნილეობა, წესად მკვიდრდება ახალი სამეცნიერო ლიტერატურის საჯარო, პირფოვნული განხილვა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების საქმეში. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამის თაობაზე მიიღეს პარტიული კომიტეტის დადგენილება; ამჟამად, როცა ამ დადგენილების შემოწმების დრო მოვა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე წარმატებები იქნება.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციის შეუნელებელი ყურადღების ობიექტს წარმოადგენდა კომუნისტი და უპარტიო პროფესორ-მასწავლებლების ა დ ა თანამშრომლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. პარტიული განათლების ქსელში ჩაბმული 1700 მხმენელი ინტენსიურად მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესწავლილ. ორ სკოლაში და 42 თეორიულ სემინარში.

ყოველივე ამაზე, მასზე თუ რა წარმატებებია მოპოვებული სტუდენტთა ესთეტიკური აღზრდის საქმიანობაში, მასზე თუ როგორ დაიდო ხათვე რაიონებში „უნივერსიტეტის დღეების“ ჩატარებას, თუ როგორ ეხმარებიან ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები რაიონის საშუალო სკოლებს, აგრეთვე თუ რა საქმიანობას ეწევიან სახალხო კონტროლის ჯგუფები, თუ რა პრობლემები დგას მომავალში პარტიული ორგანიზაციის წინაშე—მსჯელობენ უნივერსიტეტელი კომუნისტები საარჩევნო-სანგარიშო კრებებზე.

იმედია, ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციაში წარმოთქმა საქმიანი, პრინციპული მსჯელობა, გამოვლინდება ნაკლოვანებანი, დაისახება კონკრეტული გზები მათ დასაძლევად; პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებად, ბიუროების წევრებად არჩეულ იქნებიან ღირსეული, ინიციატიანი, პრინციპული ადამიანები, რომლთაც უნარი შესწევთ დარაზმონ და პარტიის მოზნებისახებულებათა შესასრულებლად გაუძღვნენ უნივერსიტეტის ყველა კომუნისტს, თვითეულ სტუდენტს და თანამშრომელს.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲐᲖᲘ

დიდი მეცნიერის იუბილე უნივერსიტეტში

რესპუბლიკაში გრძელდება დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი.

ხუთშაბათს, 7 ოქტომბერს, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქიდან და სახელგანთქმული ჩამოსულმა ცნობილმა მეცნიერებმა, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლებმა, სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა წუთიერი დუმილით სცემს პატივი ქართველი ხალხის გამორჩენილ შვილს, ქართული მეცნიერების სიამაყის ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას.

მეგლი ყვავილებით შეიმკეს.

იმავე დღეს უნივერსიტეტში გაიხსნა დიდი მეცნიერისა და პატრიოტის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენა გახსნა უხუცესმა ქართველმა მეცნიერმა, ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საინიციატივო ჯგუფის წევრმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სესია.

სესია გახსნა თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა დ. ჩხეიძემ. სათქმელი მოხსენებაი წაიკითხეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ა. ჩიქობავამ, ა. ბარამიძემ, თ. გამყრელიძემ, რუსუდანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ა. სოსელაძემ, ე. მეტრეველმა, კ. ლომთათიძემ, პროფესორებმა მ. ლორთქიფანიძემ, ზ. ანჩაბაძემ, ი. ლორთქიფანიძემ, ისტორიის მეცნიერება ბათა კანდიდატმა რ. კოკაძემ.

სესიის მონაწილეებმა დიდი უყურადღებით მოისმინეს სტუმრების ლენინგრადელი აკადემიკოსის ბ. პიოტროვსკის, პროფესორ ბ. პუტილოვის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ო. ორბელის, მოსკოველი ისტორიკოსების — პროფესორების ა. ნოვოსილცევისა და ვ. პაპუჭის, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ს. ურქმიანის მოხსენებები.

ორატორებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა საშობლო და მსოფლიო მეცნიერებაში, ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში, კავკასიის ხალხთა ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლაში. ქართველმა მეცნიერმა ძირითადად განსაზღვრა მსოფლიო ისტორიაში ქართული კულტურის როლი.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილმა ქართველ ისტორიკოსთა სკოლამ უზრუნველყო ქართული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის შექმნა და განვითარება.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის ანუ ოფილების გამგე ა. ალესქიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე. (საქინფორმი).

წარმატებით დაიწყო სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში

პირველ ოქტომბერს უნივერსიტეტში დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში.

მუშაობას შეუდგა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი 2 სკოლა და 42 თეორიული სემინარი.

მიმდინარე სასწავლო წელს დიდი ყურადღება დაეთმობა პროპაგანდის ისეთ ფორმებს, როგორიც არის დისკუსია და დისპუტი, თეორიული კონფერენციები, უფრო მეტად გამოიყენებენ ტექნიკურ საშუალებებსა და თვალსაჩინოებებს.

სურათებზე: (ზემოდან) სემინარის ხელმძღვანელი დოც. ე. ბურდული ატარებს პირველ მეცადინეობას; ბიოლოგიის ფაკულტეტზე ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემების შემსწავლელი მეცადინეობის წარმართავს დოც. თ. ნათიშვილი.

ფოტო მ. ჩაჩუასი.

სიტყვა ივანე ჯავახიშვილზე

პროფ. დავით ჩხიკვიშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ჩვენმა ხალხმა საზეიმოდ აღნიშნა დიდი სახელოვანი მეცნიერის, მოქალაქის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, თავისი დიდი მრისხიერების ივანე ჯავახიშვილის იუბილეი.

19-20 საუკუნის გარემოვაზე მოხდა ქართველი ერის თავგასის „მძიმე კრიზისის" გადაცემა — ილია ჭავჭავაძის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი გამოჩნდა.

„წიწამურის ტრაგედიას" არ მოჰყვა ერის დაცემა, — მოვიდა ივანე ჯავახიშვილი, კაცი, რომელიც ამაღლდა ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებზე მაღლა და ყოველივე ქეშმარიტად ეროვნულში საკაცობრიო ხასიათებლის და ყოველივე საკაცობრიოში ერის სიკეთის ეძებნა, — კაცი, რომელიც ქართველი ხალხის გაზიფხულს, მის განახლებას რუსეთში მოახლოებულ პოლიტიკურ და სოციალურ ქარშალ უკავშირებდა.

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ მაღალმა კრედომ, უწინარეს ყოვლისა, თავი იჩინა ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ შემოქმედებაში. და მაინც, ვიდრე იგი განათლებისა და მეცნიერების თეორ ტაძარს ეპყრობა, ქართველოლოგიის, როგორც მოწმობენ, პროგრესული მეცნიერების სახასხლის შენებლობა დაიწყო.

დიდი რუსული კულტურის წამყვან ცენტრში — პეტერბურგის უნივერსიტეტში, ეზიარა იგი განათლებისა და მეცნიერებას, ხოლო შემდგომ აქ, თბილისში, დაიფუძნა და განავითარა მძლავრი სკოლა მეცნიერების, რომლის მნიშვნელობა ზორს სცილდება ეროვნულ საზღვრებს.

ივ. ჯავახიშვილი იყო დიდი ჰუმანისტი, მეცნიერი — ინტერნაციონალისტი. იგი მაღალი მეცნიერული ნიჭიერით არცვეფდა ვიწრო ბილიკებს არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საერთოდ კავკასიის ისტორიული წარსულის ლაბირინთებში. ამიტომაა, რომ კავკასიის ხალხები მას არა მარტო ქართველოლოგად, არამედ დიდ არმენოლოგად, დიდ კავკასიოლოგად თვლიან.

მაგრამ ყველაზე დიდი, რაც დაუტოვა ივანე ჯავახიშვილმა თავის ხალხს, ეს იყო ხალხის ხიბრძნისა და ხინდისის სიმბოლიდ ნაშენი თბილისის უნივერსიტეტი...

მას სჭერიდა, რომ თბილისის უნივერსიტეტი ნიშნავდა იმ დიდი კულტურისა და ცივილიზაციის ალორძინებას, რომელიც ადრე სუფევდა საქართველოში.

ფაზისის, გელათის, იყალთის აკადემიების, ათონის, შავი მთის, ჭვრის, პეტრწონის სახლვარგარეთული ქართული ცენტრების ტრადიციის მქონე ხალხს უცილობლად უნდა შეექმნა ერის ახალი თანამედროვე „გონებრივი აკადემია" — ეს იყო თბილისის უნივერსიტეტი.

თუ არა ოქტომბრის რევოლუცია, ვინ იცის, როდის შეისხამდა ხორცს დიდი ივანე ჯავახიშვილის ოცნება. ღიად, ჩვენი უნივერსიტეტი ლენინური ეროვნული პოლიტიკის პირმშოა.

ივანე ჯავახიშვილი სამარადისო სიცოცხლე უწერია საქართველოში. მისი სახელი ცხოვრობს და მაღლდება ახე, როგორც იზრდება და ვითარდება მის მიერ ნაამაგარი უნივერსიტეტი.

ივანე ჯავახიშვილი ცხოვრობს და მოქმედებს უნივერსიტეტის თეორ კედლებში ნაზარდ და ნაწერთობ ათ ათასობით სტუდენტებში, რომლებმაც სულიერი განახლება მოუტანეს სამშობლოს, აზნენს და ავითარეს ჩვენი ხალხის ეროვნული კულტურა.

იგი ცხოვრობს და შრომობს რესპუბლიკის მეცნიარეთა და მოსაითა გმირულ საქმეებში, რომლებმაც უკანასკნელ წლებში არაერთხელ დაიმსახურეს ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მადლობა.

იგი მხარს უბამს ჩვენს გმირულ მუშათა კლასს, ჩვენს ინტელიგენციას, რომლებიც პარტიის ბრძნული ნაბიჯებით საქართველოს მრეწველობის ახალ პორიზონტებს შლიან.

დიახ! ივანე ჯავახიშვილი არის იქ, სადაც წყდება ჩვენი ხალხის ბედ-იღბალი. მას, როგორც მეცნიერს და დემოკატს, თავისი წვლილი შეექვს საქართველოს კომპარტიის სასიცოცხლო გეგმების განხორციელებაში. იგი ჩვენს ხალხთან ერთად აშენებს ძლიერ, მაღალ და ლამაზ საამოთა საქართველოს.

თბილისის უნივერსიტეტი 2ი ათწლეულს გაიხსნა, დღით ალმაშენებლის, როგორც თავისი დროისთვის გამოჩენილი მეცნიერის და მოაზროვნის, ხსოვნის დღეს. ანდერძით დავით გელათის აკადემიის კარბეჭისთან განისვენებს.

არის რაღაც სიმბოლური ამ ისტორიულ ფაქტსა და ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვას შორის უნივერსიტეტის შემოსახვილელთან!

სამარადისოდ ზის ბრინჯაოში გამოკვეთილი ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის კარებთან და ის, ვინც უნივერსიტეტში შემოვა და ჰქონდ ხალხის სამსახურად წავა, დიდი მოძღვართ-მოძღვრის მშვიდ, მზრუნველ, მაგრამ მკაცრ მზერას ვერ ასცდება...

დღესაც მასწავლებლის თვალით გვიყურებს იგი...

დიდება მის სახელს!



ზეიმი ხოვლეში

ერთ-ერთ საიუბილეო დღეს, 7 ოქტომბერს, ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელ ხოვლეს უმრავი სტუმარი ეწია — უცხოელები, სამშობლოს კავშირის სხვადასხვა ეტაპის წარმომადგენლები, ცნობილი ქართველი მეცნიერები და სახლგაღო მოღვაწენი, მწერლები, პრესის და ტელევიზიის მუშაკები...

ჯავახიშვილებისეულ სახლთან შეკრებილ ხალხს მისალმა.

მადლობა მეცნიერი ოდა-სახლის, ამიერიდან აქ დამკვიდრდება დიდი მეცნიერის სახლ-მუზეუმი. ჯერ კიდევ 1969 წლიდან დაიწყეს მუზეუმის მოწყობა. მეცნიერის თანამოფლეელები, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები მონდომებით და გულმოდგინებით აგროვებდნენ თითოეულ ექსპონატს, ცდილობდნენ ძველებური, ატრიდელი იერი დაებრუნებინათ ჯავახიშვილებისეული სახლისათვის. განსაკუთრებით დიდი შრომა გასწიეს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ხორგუაშვილმა, მეცნიერ-თანამშრომლებმა: დალი მელაძემ, ნანული გუგუნაშვილმა, ტარიელ ბეგლარიშვილმა, ინგინერმა ოთარ ხატისკაცმა და სხვებმა. მუზეუმის მოწყობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ი. ჯავახიშვილის შვილებმა.

საზეიმო მიტინგი გახსნა და მოკრებილთ მიესალმა კასპის რაიონის პირველი მდივანი ლევან ისაკაძე. მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეში მიიღო მონაწილეობა. მოგონებებით გამოვიდა აკადემიკოსი ნიკო ყაზბეგი და უნივერსიტეტის სახელით მიხეილ ალიხანოვი-ავარსკი. სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. ალექსანდრე ფრანგიშვილმა, აკად. გიორგი მელიქიშვილმა, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ხორგუაშვილმა, პოეტმა იოსებ ნონეშვილმა, ხოლოს საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლემ ლელო მიქიტაშვილმა; ხოლოს კოლმეურნეობის წევრმა გიორგი კოშაძემ თანამოფლეელთა სახელით მიტინგის მონაწილეებს აღუთქვა, რომ ილიაობას, შოთაობას, გურამიშვილობას და სხვა ხალხო დღესასწაულებს ამიერიდან ივანობაც შეემატება და ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება ჯავახიშვილის შობიდგან სოფელში.

ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ელეგია შერაბიშვილის ლექსის წაკითხა ოკამის საშუალო სკოლის დირექტორმა გიორგი თათარაშვილმა.

ი. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი ქართული მეცნიერებისა და კულტურის ძეირფასი შენაძენია. იგი თანდათანობით შეივსება და გამდიდრება ახალი ექსპონატებით და, ალბათ, არასოდეს მოაკლდება დამთვალიერებლები.

ლაურა კუტუბიძე
ფოტო მურმან ჩარკაშია

ქართული მეცნიერების სიამაყე

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა

გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებლის აკად. ივანე ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის უკანასკნელი აკორდი იყო საიუბილეო სხდომა, რომელიც ცხრა ოქტომბერს გაიმართა სჭარბი ქართველის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

შესანიშნავი მეცნიერის, მოქალაქისა და პატრიოტის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ აქ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები, მეცნიერის დიდი ნიჭის თაყვანისმცემელნი, სტუმრები მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, სტუდენტი ახალგაზრდობა, ივანე ჯავახიშვილის ნათესავები და ახლობლები.

საღღესასწაულოდ იყო მორთული დიდი საკონცერტო დარბაზის სცენა. მის სიღრმეში ივანე ჯავახიშვილის უზარმაზარი პორტრეტი მოჩანდა, პროექტორები ანათებდნენ ციფრს „100".

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **პ. გილაშვილი, თ. მენთეშაშვილი, შ. პატარიძე, ჯ. პატარაშვილი, ვ. ხარაძე, ე. შევარდნაძე, ვ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ხ. ხაბეიშვილი,** აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის იუბილეს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ი. ვეკუა,** მეცნიერთა ღილეგაციების ხელმძღვანელები: მოსკოვისა — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები **გ. სტეპანოვი** და **ვ. იარცევი,** ლენინგრადისა — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ერმიტაჟის დირექტორი, აკადემიკოსი **ბ. პიოტროვსკი** და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **მ. ბოგოლიუბოვი,** აზერბაიჯანისა — აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა გაყოფილების აკადემიკოს-მდივანი **ა. სუმბათ-ზადე,** სომხეთისა — სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ა. ოიანიხიანი,** ყაზახეთისა — ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ბ. სართაევი,** ტაჯიკეთისა — ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გ. აშუროვი,** დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი **ა. აბილოვი,** რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ქვეყნებიდან მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან — პროფესორები **ე. ბაკალოვა** (ბულგარეთი), **ლაიოშ ტარდი, მარტონ იშტვანოვიჩი, მარგიტ ბირო** (უნგრეთი), **ჰანს მალენოვსკი** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), **მ. ბერზა** (რუმინეთი), აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან პროფესორი **კარლ ჰორსტ შმიდტი.**

საიუბილეო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ჩერქეზიამ.**

— დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დღესასწაულობს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და მოქალაქის, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის აკად. ივანე ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავს, — თქვა მან. — მეცნიერის შრომებმა მთელი ეპოქა შექმნეს და სახელი მოუხვეჭეს ავტორს.

მისი „ქართველი ერის ისტორიაზე" აღიზარდა და იზრდება მთელი თაობები. მეცნიერის საზოგადოებრივი შეხედულებანი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გაღლენით ყალიბდებოდა. იგი იყო დიდი ინტერნაციონალისტი, სიუფქვლიანად გამოიკვლია მოძმე ხალხთა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **გ. მელიქიშვილმა.**

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, თქვა მომხსენებელმა, იცნობენ როგორც დიდ საზოგადო მოღვაწეს, მოქალაქეს, თავდადებულ პატრიოტსა და მრავალმხრივ მეცნიერს. მის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტის შექმნა — ისტორიული მოვლენა ქართველი ერის სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში.

შესანიშნავი ქართველი მეცნიერი ინიციატორი იყო ბევრი წამოწყებისა, რომელთა განხორციელებამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული მეცნიერების განვითარებაში.

დღეს, როცა რესპუბლიკაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, ასეთი დიდი მასშტაბით გამორჩენილი მეცნიერის იუბილეს ღღესასწაულობა იმის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა, რომ პარტია და მთავრობა განუწყვეტელ ზრუნავენ ეროვნული კულტურის განვითარებისათვის.

შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ივანე ჯავახიშვილის სახელოვანი ცხოვრების გზაზე, მის მეცნიერულ და საზოგაო მოღვაწეობაზე. დიდი მეცნიერის ხელმძღვანელობით, თქვა მან, ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიული მეცნიერების დონემდე ამაღლდა. დიდია მისი დამსახურება არა მარტო საქართველოს ისტორიის, არამედ აგრეთვე სხვა ჰუმანიტარულ მიმართულებათა — ენათმეცნიერების, ხელოვნების, მუსიკის ისტორიის დარგში სამაგიერო წვლები გახდა სპეციალისტებისათვის.

ივანე ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არქეოლოგიაში. იგი არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი და მეცნიერი-

PATER PATRIAE

„მამა სამშობლოსა“—ეს უზენაესი სამოქალო ტიტული ილია ჭავჭავაძის შემდგომ არავის ისე არ დაუმკვიდებია, როგორც ივანე ჯავახიშვილს.

სწორედ ეროვნული ღვაწლის ტრადიციით ზარა-ცაღმფენ ქართველ ხალხს აღეცილებლად სჭირდებოდა ახალი სულიერი და სჯულიერი მოძღვარი.

და ისიც მოვიდა — ივანე ჯავახიშვილი!

ბუმბერაზი ქართველი მეცნიერის ნაკვალევზე — ბუმბერაზი ქართველი მეცნიერი!

ივანე ჯავახიშვილის მშობელიის სოციალური წრე იყო, რომელსაც მისი დიდი წინამორბედი გაბედულებით. მაგრამ ეპოქა ჯავახიშვილში, ტატიანი ალლის კარნახით, რეფლექციურ-დემოკრატიულ მოძრაობათა კეთრძალულე მკვეთრად განირჩია ქართველი თავადაზნაურობის „ელიტას“, რომელიც, ვითარცა „მეფისანი გლეხანი“, მხოლოდ საქართველოს გარდასულ დიდებაზე უსაზღვრო ცრემლთა ღვრას არ ცალა. მას მეშვიდრეობა მოძღვარი სწუხარდა — ისეთი მოძღვარი, რომელიც მას წარსულსაც აწყობასაც და ხვალინდელ დღესაც დიდ მეცნიერულ სანათლად დაანახვებდა.

სწორედ ასეთი მეცნიერი-მოძღვარი შეიქნა ივანე ჯავახიშვილი.

ძნელზე ძნელია ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლე მეშვიდობიანის სრულწმინდი შეფასება. ძნელია მისი გაზომვა თუნდაც, ვითარცა ეროვნული ფასეულობისა.

მისი „საკუთარი მეცნიერება“ საქართველოს ისტორია იყო, მაგრამ საქართველოს ისტორია ყველა ეროვნული სამეცნიერო დარგის განფენილობით.

ჯავახიშვილის ტანჩრული საკვლევ-ძიებო ორბუსები ანგვიფრებენ „ყოველნაირი განწყობის“ მკოთხველს, აღაფრთოვანებენ მშობლიური წარსულის მოთაყვანებას, ამხნევებენ მეცნიერების უმძიმეს გზაზე დამაშვრალთ.

„უამალ სიკვდილი, ვინმე დაღლილობა“ — ლეონარდოს ეს სიტყვები აკვეთებიან ქართული მეცნიერების პატრიარქის ყოველი წიგნის თავფურცელზე.

იგი არის მდინარე, რომელიც ოქროს ტალღებს მოაგორებს (ცაცხვრონი ამბობდა არისტატელზე).

ივანე ჯავახიშვილმა საშენი მასალაც თვითონ მოიპოვა, მოამზადა და შეენობაც თვითონ აღაშენა. ყოველი რიგის საიბატორიო წყარო უმკაცრესი კრიტიკული თვალით შეისწავლა და ისე შეუდგა საქართველოს ისტორიის ხელახალ შესწავლას.

ასე გაჩნდა სახელოვანი „ქართლის ცხოვრების“ გვერდით „ქართველი ერის ისტორია“ (ვინა—„ახალი ქართლის ცხოვრება“).

ივანე ჯავახიშვილი მშობლიური სამწუხაროს ისტორიას მშვიდი გონებით და რკინის ხელით („მეცნიერული სიმკაცრით“) წერდა, მაგრამ ყოველ სტრიქონში შეიცნობა მისი ხაოცარად თბილი გული — უსაზღვრო სიხარული ყოველი დიდი ეროვნული გაძარკვებისა და აღზევების გამო, უმძიმესი ტკივა და წუხილი „უცხო ღილეთ“ ეელური შეროსეულნით დაკეცულ და ამოწყვეტილ ყოველი ქართველი ოჯახის გამო.

იგი თითის ოვალითმხილველი და მონაწილეც ყოველი ბრძოლის — დიდგორის, შამქორის თუ ბასიანის. იგი თითქოს იფლატნეული შენეხეული და ქვაღამტკიცებული ყოველი დიდი აღშენებლობის — მცხეთისა, ეკლესიისა, თუ ვარძიისა. იგი თითქოს გულდაწყვეტილი ქართველებით დგას ბრძოლით დაღუპული ყოველი ქართველის დაობლებულ ოჯახში...

ივანე ჯავახიშვილის სანონ ხახით იცქირებიან სილეტები დიდი მამულიშვილებისა: ვრიგოლ ხანძთელისა, არსენ იყალთოელისა, გიორგი მთაწმინდელისა, ეფრემ მცირისა...

ივანე ჯავახიშვილი მისი დროის „მრავალმეცნიერ და ქველმოქმედ საზოგადოებას“ მშობელი ხალხის ხაყვარულით გვირგვინდადგმული წყვიდა.

მისი სწორუპოვარი მამულიშვილობის უყველავსაყოფად ეს ორი ეროვნული ნიშანსვეტიც საკმარისია:

ქართული უნივერსიტეტი და ახალი ქართული მეცნიერება!

პროფ. **ლევან სანიკიძე.**

ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგე.

იუბილეს მიეძღვნა

ოთხშაბათს, 6 ოქტომბერს, ჩატარდა ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო სხდომა ღია სხდომა, რომელიც მიეძღვნა აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავს.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ეკონომიური ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ვლადიმერ ლებანიძემ. მოისმინეს შემდეგი მოხსენებები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. ვასილ ჩანტლაძისა—„აკად. ივ. ჯავახიშვილი საბერძნეთის ფინანსების შესახებ; პროფ. დიმიტრი ქორძაძისა — „აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ და პროფ. შოთა ბერძენიშვილი — „აკად. ივ. ჯავახიშვილი მოსახლეობის აღწერების შესახებ მე-17—18 საუკუნეებში საქართველოში.

აკად. ივ. ჯავახიშვილის შესახებ დამსწრეებს თავიანთი მოკლეშებები წაუწერეს: პროფ. ნერგო ბერძენიშვილმა, პროფ. არჩილ ფანცხავამ და ლიუბოვ გურგენიძემ.

სხდომამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეების შორის. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ეკონომიური ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლები, თანაშრომლები, ასპირანტები და სტუდენტები.

ნოდარ ბერძენიშვილი,

ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო სხდომის მონაწილე.

აკად. ი. ჯავახიშვილის იუბილეზე ჩამოსული სტუმრები ეცნობიან გელათს.

ფოტო მ. ჩარუაშვილი

წარსულიდან

ახალდაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო საკუთარი სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და არქივის გამოცემა და ხელისწერთა ფონდის შექმნა. ამ მიზნით პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს გადაეცა კრძალ პირთა თუ ცალკეულ საზოგადოებათა მიერ დაგროვილი კულტურულ ღირებულებათა ძიება საქართველოს უარგლებს გარეთაც ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა გაზეთ „საქართველოს“ 1919 წლის 30 ივლისის ნომერში დაბეჭდილი შემდეგი შინაარსის მასალა:.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ივანე ბერიტაშვილმა, რომელიც ამჟამად ქ. ოდესაში იმყოფება და თბილისისაკენ გამოსამგზავრებლად მზად არის, უნივერსიტეტის დავალებით ოდესაში შეიძინა პროფ. მედვედევისაგან ძვირფასი წიგნსაცავი ფიზიოლოგიის და ფიზიოლოგიურ ჭრილის დარგში: ეს ბიბლიოთეკა წონით 40—50 ფუთამდე იქნება და შესაფერისი ქარაგით უნივერსიტეტის სპეციალისათვის, მაგრამ უკანასნელ ადგილობრივი მთავრობა პროფ ი. ბერიტაშვილს ნებას არ აძლევს თბილისში გადმოტანოს ეს ბიბლიოთეკა და ამ მიზნით იგი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა.

სახალხო განათლების სამინისტრომ ქართულ უნივერსიტეტის რექტორის ასეთი განცხადება აცნობა ვარშავის სამინისტროს და სთხოვა სათანადო ზომების მიღება, რათა პროფ. ივ. ბერიტაშვილმა შეძენილი ბიბლიოთეკა თბილისში დაიბრუნოს. ამ საქმეში შეუფერებელია გამოშვახვრა და თითონაც შეუფერებელია გამოშვახვრის“.

ორი დღით მამულიშვილის თავდადებამ სათანადო ნაყოფი გამოიღო.

ზაურ მეძველია

ხელნაწერის გადაბეჭდვა ნებადართულია მხოლოდ საქართველოს ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ნებართვით.

კონსულტანტი იყო მცხეთაში, დმანისში, გეგუთსა და ბოლნისში. მეცნიერის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური შრომები საქართველოს ეკონომიკის შესახებ. მის მონოგრაფიაში. „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ მოცემულია უნიკალური მასალები ძველი საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილის ფასდაუდებელ შემოქმედებას მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის ფუნდამენტურ ოთხტომიან ნაშრომს „ქართველი ერის ისტორიას“.

აღსათქმელია, საქართველოს ისტორიის დარგში არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, რომლისთვისაც მკვლევარს ივანეს ყურადღება არ დაეთმოს. მან სანიმუშო ნაკუთარა არა მარტო ჩვენს ისტორიოგრაფიას, არამედ ქართულ-კავკასიურ ენათმეცნიერებასაც. მისი შრომა „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ გაიორიენტა იწვევს სამეშაოთა იმ მასშტაბურობით, რომლებიც მკვლევარმა შეასრულა ენათმეცნიერების საკითხებზე.

საშუალო ისტორიოგრაფია და ბევრი სხვა ჰუმანიტარული მეცნიერება, აღნიშნა ორატორმა, თავის წარმატებას ბევრად უნდა უმადლოდეს ივანე ჯავახიშვილს.

მომხსენებელმა გააშუქა მეცნიერის დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელმაც მთელი თავისი მგზნებარე ენერგია, ნიჭი და შთაგონება მოახმარა სამშობლოს, ხალხის უანგარო და თავდადებულ სამსახურს.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დამსახურების უდიდესი აღიარება ის არის, თქვა მან, რომ გამოჩენილ მეცნიერის მიერ დაწყებულ საქმეს წარმატებით განაგრძობენ მისი მოწაფეები, საქართველოს ისტორიკოსთა შესანიშნავი სკოლა, რომლებიც ამუშავებენ წარსულისა და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, ღირსეულად წყვეტენ ამოცანებს, რომლებიც მეცნიერებას დაუსახეს თვით ცხოვრებამ, ხალხმა, კომპარტიამ.

საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში, თქვა დასასრულ გ. მელიქიშვილმა, უკვდავი იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელი, რომელმაც შეასრულა ყველაზე მძიმე საქმეთა — მოამზადა სამაქეო მეცნიერების აღმავლობის ნიადაგი.

საიუბილეო სხდომის მონაწილენი მჭედარ ტაშით შეხვდნენ უხუცესი ქართველი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის ოჯახის წევრებს მივულოცეს ღვაწლი და მადლობა გადაუხადეს პარტიასა და ხელისუფლებას ივანე ჯავახიშვილის იუბილეს ასე ფართო მასშტაბით მოწყობისათვის.

ივანე ჯავახიშვილის წილად ხვდა პატივი განეგრძო დიდი ილია ჭავჭავაძის საქმე, რომელიც ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით დაგვირგვინდა. ბედნიერი ვარ, რომ ემგზავრობოდი ასეთ ადამიანთან — ჯერ როგორც მოწაფე, მოგვიანებით კი როგორც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი მონაწილე.

სიტყვას ამბობს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ერმიტაჟის დირექტორი, აკადემიკოსი **ბ. პიოტროვსკი.** მან ილაპარაკა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის — დიდსულოვანსა და კეთილშობილი ადამიანის უდიდეს ერუდიციაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მრავალმხრივი იყო მისი მეცნიერული ინტერესები, რომ მან უდიდესი წვლილი შეიტანა არა მარტო საქართველოს ისტორიაში, არამედ ეკონომიკისა და სამართლის ისტორიაში, არქეოლოგიაში, ქართული ფესვის ისტორიაში.

დღეს თვითონ ამ გამოსულ ორატორს, თქვა მან, — ივანე ჯავახიშვილი მიაჩნია თავის მეგობრად, მასწავლებლად, კოლეგად, ღრმნგრადის ფილეგაციასაც ვერეთვე სურს თქვას: ივანე ჯავახიშვილი გაკვეულწილად ჩვენიცაა, ოც წელზე მეტი იცხოვრა მან პეტერბურგში, თუმცა ურთიერთობა არ გაუწყვეტია მშობლიურ საქართველოსთან.

ნება მიბოძეთ ყველა დამსწრეს, ივანე ჯავახიშვილის ოჯახის წევრებს მივულოცო ღვაწლი და მადლობა გადაუხადო ქვეყნის სახელით ივანე ჯავახიშვილის ნათესავებს.

ორიან მეცნიერები, რომლებიც მთელი თავიანთი შემოქმედებით მოღვაწეობით განასახიერებენ თავიანი ერის სულიერ კულტურას, — თქვა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **ა. ოთანიანმა** — სწორედ ასეთი იყო ივანე ჯავახიშვილი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელ მაგალითს წარმოადგენს ყველა ჩვენთაგანისათვის.

ივანე ჯავახიშვილის ოჯახის წევრებს მადლობა გადაუხადა და ყველა სტუმარი მიიწვია სადილად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიკოსთა კოლექტივის სახელით ისაუბრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსი ფანცხავა.** მან აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები ქართველი ხალხის ისტორიის ენციკლოპედიას წარმოადგენს. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები ქართველი ხალხის ისტორიის ენციკლოპედიას წარმოადგენს. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები ქართველი ხალხის ისტორიის ენციკლოპედიას წარმოადგენს.

ქართველი მეცნიერისადმი დიდი პატივისცემისა და სიყვარულის დასტურებაა ამ დღეებში ერეკვანში გამართული სამეცნიერო სესია, რომელიც აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

ხალხთა მეგობრობის და ძმობისათვის, მოწინავე ისტორიული მეცნიერებისათვის ნამდვილ მებრძოლს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს საპატიო ადგილი უკავია სომხური ისტორიოგრაფიაში.

ქმაღლებულად გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილის, ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორის, ქართველოლოგ **მარტონ ოშტავნოვიჩის** გამოსვლა.

იგი ქართულ ენაზე გამოვიდა და უნდა ითქვას მეცნიერებათა აკადემიის სახელით შეკრებილებს და მათი სახით მთელ ქართველ ერს მიეულოცა სახელოვანი იუბილე.

ბედნიერი ვარო, თქვა მან, რომ თქვენთან ერთად აღვნიშნავთ გამოჩენილი მეცნიერისა და ადამიანის იუბილეს. უნდა ვქართველოლოგთა პატარა ოჯახი წლითიწლობით იზრდება. თვითეული ქართველოლოგისთვის ძირფასია ივანე ჯავახიშვილის შრომები ქართული ენის, მუსიკის და სხვა კარდინალურ საკითხებზე.

დღეისათვის დღისწესრული ჭეშმარიტად საყოველთაო-სანაღლოა, რადგან იგი ეძღვნება სწავლულს, რომელიც პროგრესს ემსახურებოდა. მისი ინიციატიით შექმნილმა უნივერსიტეტმა საშუალება მოჰცა შემდგომ ქართული ენა, ქართულად დაწერეა დისერტაციათა თბილისში და დღეს მის მშობლიურ ენაზე წარმომდგარ მეცნიერისათვის მეცნიერისათვის.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის შრომების დიდ პოპულარობაზე, ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიის, შუა აზიის მოძმე რესპუბლიკებში მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის მისი გამოკვლევების მნიშვნელობაზე და ინტერნაციონალისტი მეცნიერის, ხალხთა მეგობრობის ნამდვილი დამცველის დიდ დამსახურებაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ხუთმაო-ზადეს, დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორის ა. აბდულაევის, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ხ. ხართაევის,** ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **გ. აშუროვის.**

საქართველოს მეშვიდობიანის კლასის წარმომადგენელი სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის თოლადურსამსხმელო ქარხნის მუშაკეთა პრიგადირი ა. **ყურაჯანიძე,** თუ დღეს საქართველოში ეკონომიკისა და კულტურის ყველა რგოლის სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრები გვყავს — თქვა მან, — ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის იუნივერსიტეტს, რომელიც ჩვენ, საქართველოს შუშვი, პატივს გვცემდა ამ შესანიშნავი ბოდმიზე, თაიმაზებისათვის, მიცნობისა, თაიესი ხალხის უანგარო სამსახურისათვის.

თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა **დ. ჩხეიძემ** ალტა თქვა, თუ რა უდიდესი დამსახურება მიუძღვის მეცნიერს სპარსულის დარგში ქართველ ხალხთა ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმეში.

საიუბილეო სხდომის შემდეგ ამიმართა კონცერტი საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საქინფორმი).

სწავლობენ ბასკურ ენას

«ბასკოლოგია გულისხმობს ბასკური ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის შესწავლას.

ყველა ამ დარგში სპეციალისტები უნდა მომზადდნენ, პირველ ყოვლისა კი — ბასკური ენის სპეციალისტები. ჩვენი არჩევნი გვაქვს. მას თავი უნდა დავდეთოთ. ეს ჩვენი მეცნიერული ვალია ბასკების წინაშე».

ეს სიტყვები ავადმყოფის ლოგინთან ბატონობას ეუფლება — დაბეჭდილია წიგნში «ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური პარალელები», რომელიც მასთან წინასიტყვაობით. და რედაქციით ასრულებს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

ყინული დაიძრა: თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ ენათა განყოფილების მასპინძელ კურსზე მიმდინარე სასწავლო წელს დაიწყო ბასკური ენის შესწავლა!

სწავლება ფაკულტატურია. მეცადინეობას სხვა ფაკულტეტებისა და განყოფილებების სტუდენტებიც ესწრებიან...

ლექციები ტარდება ყოველ სამშაბათს. დიდი ისტორიული წარსულისა და უძველესი კულტურის ხალხის ენისადმი ინტერესი დღითი-დღე იზრდება.

სასწლმძღვანელო ჯერ არა აქვთ, სამაგიეროდ მასწავლებლის მიერ შედგენილი ბასკური ენის გრამატიკაა, ტექსტებითა და ლექსიკონით ხელმძღვანელობენ.

წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ სამი-ოთხი მეცადინეობის შემდეგ უკვე ჩანს პირველი ნაყოფი ახალ საგანს განსაკუთრებული გულისხმიერებით ეუფლებიან ნიო სანებლიძე, მარინა ჯაიანი, დიანა ცაბაძე, მაია კვეზერელი-კოპაძე...

სწვალა მთელი სემესტრის მანძილზე გაგრძელდება. ბევრმა უკვე გამოთქვა სურვილი, რომ სწორედ ბასკური ენის მასალების გამოყენებით დაწეროს საყურსო, სადიპლომო და ა. შ.

ეს არის საცდელი კურსი, ახლო მომავალში კი ბასკური ენის შესწავლას შეუდგებიან უნივერსიტეტის სხვა განყოფილებები, კერძოდ, კავკასიური ენების და ზოგადენათმეცნიერების სპეციალობის სტუდენტები.

ბასკური ენის პირველი მასწავლებელი თბილისის უნივერსიტეტში გრეტა ჩანტლაძეა. იგი თბილისის უნივერსიტეტის და მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტთან არსებული დაუსწრებელი განყოფილების აღზრდილია. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე კავკასიურ ენებს, ხოლო ინსტიტუტში ფრანგულ და ესპანურ ენებს ეუფლებოდა, შემდეგ აკადემიურ ზოთა ძიძიგურის ხელმძღვანელობით დაამთავრა ახალი ქართული ენის კათედრის ასპირანტურა.

ვ. ჩანტლაძეს ბედმა გაუღიმა: ესპანურში ამ ენის კარგი მცოდნე, კონსულტაცია «ქართული ფილმის» ინ-ქიზერი თამარ ბერიაშვილი ამეცადინებდა; რაც შეეხება ბასკურ ენას, მას უშუალოდ ასწავლიდა ცნობილი სპ-ბჟოთა ბასკოლოგი, კუთხეშეველი ოური ზღვარი, რომელიც ახალი სასწაველო წლიდან უკვე თბილისის უნივერსიტეტის დოცენტია.

გრეტა ჩანტლაძე ბასკოლოგიით ამ ათიოდე წლის წინათ დაინტერესდა:

1965 წლის დეკემბერში მწერალმა და ჟურნალისტმა ალექსანდრე კიკნაძემ «ნეღელიაში» გამოაქვეყნა სტატია «ბასკები, სადან არიან ისინი?» მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობა ასე გაეცნო მეტად საინტერესო და მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ გაუსულ საუკუნეში გამოთქმულ ჰიპოთეზის ძველი კავკასიელი იბერების პირენეის ნახევარკუნძულზე შესაძლო გადასახლების შესახებ. სტატიას თან ახლდა ახლანდელ ბასკებთან, ესკალდუნაის ანუ ბასკურად მოლაპარაკე ხალხთან, შენედრებით მიღებული შთაბეჭდილებები.

«ნეღელიას» მასალა საქართველოს თითქმის ყველა გაზეთმა გადმობეჭდა. ბუნებრივია, სტატიაში აღძრული საკითხები იმ დღეებში თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერთა და სტუდენტთა სხვა-ბაასის საგანი იყო. და აი, მეორე კურსის სტუდენტმა გ. ჩანტლაძემ გადაწყვიტა თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად ბასკოლოგია გაეხადა. იგი შეხვდა სტატიის ავტორს, ეს მეტად სასარგებლო აღმოჩნდა: სწორედ ა. კიკნაძეა ის კაცი, რომელმაც ახალგაზრდა ენთუზიასტი ჭაშმარიტ გზაზე დააყენა... გ. ჩანტლაძე გაეცნო ყველა ცნობილ ბასკოლოგს, წერილებს წერდა მათ, რჩევა-დარიგებებს იზიარებდა, ამავე დროს ეძებდა, იძენდა ბასკოლოგიურ წყაროებს. სულ მალე დიდძალი ლიტერატურა მოაგროვა.

კნეინა სიხარულიძე დაიბადა 1911 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლეთხევში, დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო ბათუმში. 1926 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელიც 1930 წელს დაამთავრა. 1930—1934 წწ. საშუალო სკოლებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, რუსულ ენასა და ლიტერატურას. 1934—1936 წწ. იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფოლკლორის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელია. 1936 წლის ივნისიდან გადაჰყავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1938 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა უნივერსიტეტში ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად და პროფესორად. 1968 წელს აირჩიეს ახალდაარსებული ფოლკლორისტიკის კათედრის გამგედ, ხოლო შეთავსებით მოღვაწეობას განაგრძობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

ქ.ს. სიხარულიძემ პირველი მეცნიერული წერობა მიიღო თბილისსა და ლენინგრადის უნივერსიტეტებში, სადაც წლების განმავლობაში მეცადინეობდა სამჭოთა ფილოლოგიური მეცნიერების კორიფეებთან. 1938 წ. მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1948 წელს — სადოქტორო. მალე პროფესორის სამეცნიერო წოდება მიენიჭა. იგი ავტორია 200-ზე მეტი ნაშრომის, რომელთაგან 24 ცალკე წიგნადაა გამოცემული. მისი შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, უკრაინულ და უცხოურ ენებზე, მისი ნაშრომები ქართული ხალხური შემოქმედებისა და კულტურის ისტორიის კარდინალურ პრობლემებს ეძღვნება.

საყოველთაოდ ცნობილია მისი მონოგრაფიები და გამოკვლევები, როგორიცაა: „ქართული სახავშვო ფოლკლორი“, „ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით“, „თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში“, „ქართული ზღაპრის სოციალური ფუნქცია“, „ქართული ხალხური სავჭირო-საისტორიო სიტყვიერება“, „ნარკვევები ქართული ხალხური შემოქმედების ისტორიიდან“ (ორ ტომად), „ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება“ (ორ წიგნად) და სხვ. ამ შრომებმა მკვლევარს გაუთქვეს სახელი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი უკანასკნელი მონოგრაფია—„ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, რომელშიაც შეჯამებულია ავტორის ძიებანი ქართული ფოლკლორის ძირითადი ჟანრების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

მკვლევარმა დიდი ამაგი დასდო ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების მეცნიერულ შესწავლას, რასაც ათეულობით ნარკვევი და სტატია მიუძღვნა. ამ სფეროში მისი ძიების დამაგვირგვინებელია სამტომიანი მონოგრაფია „ქართული ბალხური საისტორიო სიტყვიერება“. ათეული წლის განმავლობაში იგი წარმატებით იკვლევდა ლიტერატურისა და ფოლკლორის ურთიერთობის პრობლემებს. არის ქართულსა და რუსულ ენებზე გამოცემული „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების“ სამტომეულის თანაავტორი. ქ. სიხარულიძე იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი „ქართული ხალხური პოეზიის“ მრავალტომეულის გამოცემისა.

ქ. სიხარულიძე თბილისის უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის ერთ-ერთი ორგანიზატორია. 1928 წლიდან იგი ზეპავად და ქართული ფოლკლორისტიკის კურსს კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტში, წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა რუსთველის პედაგოგიურ ინსტიტუტებსაც.

ხალელოვანი მეცნიერი ახალგაზრდა კადრების გულისხმიერი აღმზრდელი და მეგობარი იყო. მისი ხელმძღვანელობით ხასპირანტო კურსი გაიარა ათეულობით ახალგაზრდამ, მათ შორის არიან ქართველები და მომავ რესპუბლიკიდან და ხახალო დემოკრატიის ქვეყნებიდან ჩამოსულნიც. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა 22 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ქ. სიხარულიძე მონაწილეა ფოლკლორისტთა და ეთნოგრაფთა არაერთი რესპუბლიკური, საკავშირო და მსოფლიო ყორუმისა. აქ წაკითხულმა მოხსენებებმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს და კიდეც გამოქვეყნდა ფორუმთა მასალებში. იგი ხარატიული ფოლკლორის შემსწავლელთა საერთაშორისო საზოგადოების ვ კონგრესზე ბუქარესტში აირჩია თავის ნამდვილ წევრად.

ღვაწლმოსილი მეცნიერი მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იყო იგი სამეცნიერო საბჭოს წევრი, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის წევრი და ამავე საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, შედიოდა ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის, ჟურნალ „საქართველოს ქალის“, „ქართული ხალხური პოეზიის“ მრავალტომეულის, „მსოფლიო ხალხთა ზღაპრების“ ქართული გამოცემის, „ხალხური სიბრძნის“ redaქციო კოლეგიების შემადგენლობაში.

პარტიამ და მთავრობამ მეცნიერის დამსახურებას მაღალი შეფასება მისცეს. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებითა და სიგელებით.

ქ. სიხარულიძემ მთელი თავისი ნიჭი და ენერგია მოახმარა ჩვენი მეცნიერების განვითარებას, ხალხის უხნაგრო სიხარულს. მისი სიცოცხლე შეწყდა შემოქმედებითი ძალების აყვავების პერიოდში.

ღვაწლმოსილ მეცნიერ ქალს მარად მოიგონებენ მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილები და კოლეგები.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი; საქართველოს საისტორიო საზოგადოება.

ქსენია სიხარულიძე

სტუდქალაქის სიახლენი

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და სტუდენტთა ქალაქის სამმართველომ მოაწყვეს შეხვედრა სტუდენტთა ქალაქში მცხოვრებ პირველკურსელებთან.

სტუდენტი გამოვიდნენ საქართველოს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი მაღონ ხაჩიძე, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს იდეურ-პოლიტიკურ-მხრილობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი ვალერი ასათიანი, კომსომოლური პრორექტორი იდეურ-აღმზრდელობით დარგში ავთანდილ ასლანიშვილი, პოეტი ირისგბნოშვილი, უნივერსიტეტის სანერო-ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტთა სამეწინებო რაზმის შეთაური ნუგზარ ზერაკიძე და მსახიობი მურმან ჯინორია.

პირველკურსელთა სახელით შეკრებილთ მიესალმენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი მარინე ჭანტურია, ი. ჯავახიშვილის სახელობის ენათა ინსტიტუტის სტუდენტი მარინე ქირგალიძე და პაუჩინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ზაზა ილიასოვა.

დამწყებთა დიდი მოწონება ხვდა წილად სტუდენტთა ქალაქის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „ჩირაღდანს“ (ხელმძღვანელი გიგი კვეღლიველი); რომელიც მაყურებელთა წინაშე ახალი პროგრამით წარსდგა.

ლონისძიებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე, ბორის ბნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელები რუსუდან ლომიძე, ნინო ბიგაიბაძე, ნათია ლაბაძე და ზაზა ნაროზაშვილი.

წარეგნები იქნა პროგრამებები მეჩრად კოკოზაშვილის ფილმიდან „მწვრაფალისაკენ“.

დასასრულ ანსამბლი „ჩირაღდანის“ წევრებს გადაეცათ საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სპასტანო სიგელები.

ალამო მიძღვნილი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს ნათია ვასაძეს და დათო ბაკიძეს.

ირა ასათიანი,
ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტი.

სურათზე: გრეტა ჩანტლაძე ბასკური ენის გაკვეთილზე.

ფოტო მურმან ჩაჩუასი.

რედაქტორი ზ. ჭუბინია

380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 1, უნივერსიტეტის სტამბა. შეკვ. 1519 უე 03584